იწვევს თუ არა Covid-19 ფორსმაჟორული დებულების ამოქმედებას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში?

ნინო ნარინდოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნინო ნარინდოშვილი *30.01.2021*

აბსტრაქტი

წინამდებრე ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს იწვევს თუ არა Covid-19 ფორსმაჟორული დებულების ამოქმედებას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში. იმისათვის, რომ გამოკვლეულ იქნას აღნიშნული თემა, საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს: 1. ზოგადად რა წინაპირობები არსებობს დაუძლეველი ძალის ამოქმედებისთვის და 2. რამდენად აკმაყოფილებს Covid-19 ამ წინაპირობებს;

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია კვლევის ანალიტიკური და შედარებით სამართლებრივი მეთოდები. გაანალიზებულია საქართველოსა და საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა.

ნაშრომმა ცხადი გახადა, რომ არ არსებობს მზა რეცეპტი იმაზე პასუხის გასაცემად, დაკვლიფიცირდება თუ არა Covid-19 დაუძლეველ ძალად და გამოიწვევს თუ არა იგი მხარის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას - თუმცა შესაძლებელია ზოგადი წინაპირობების გამოყოფა. სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას მიზეზობრივ კავშირზე ამახვილებენ- გამოწვეულია თუ არა ვალდებულების შეუსრულებლობა Covid-19-ით და შეეძლო თუ არა მხარეს მისი თავიდან აცილება/დაძლევა.

ნაშრომმა წინ წამოწია ერთი მეტად საინტერესო საკითხი, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მხარემ შეძლო იმის დამტკიცება, რომ Covid-19 არის დაუძლეველი ძალა, თუმცა იმავდროულად ხელშეკრულებაში არის მითითება, რომ არცერთი მოვლენა არ ათავისუფლებს მხარეს ფულადი ვალდებულების შესრულებისგან. ამ კითხვაზე არ არსებობს ცალსახა პასუხი. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების დებულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ამგვარი ჩანაწერის გამართლება შინაარსს აცლის დაუძლეველი ძალის ყოვლისმომცველ განზრახვას. ამ კითხვაზე არ არსებობს პასუხი არც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

კვლევა საშუალებას მისცემს იურისტებს უკეთ ჩამოაყალიბონ ხელშეკრულების პირობები, ხოლო სასამართლო პროცესის დროს უკეთ დაასაბუთონ თავიანთი პოზიცია. აგრეთვე მოსამართლეებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ სხვა ქვეყნის სამართლებრივ ტენდენციებს Covid-19-თან მიმართებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: Covid-19, დაუძლეველი ძალა, Ejusdem generis წესი

Abstract

The research topic of the present paper is whether the Covid-19 enacts force majeure provision in private law relationships. In order to investigate this topic, it is necessary to answer the following research questions: 1. In general, what are the preconditions for triggering force majeure, and 2. To what extent does Covid-19 meet these preconditions;

Analytical and comparative legal methods of research are used to answer the research questions. Georgia and common law countries' case law and doctrine are analyzed.

The paper made it clear that there is no ready-made recipe to answer whether Covid-19 will qualify as force majeure and whether it will lead to the release of a party from liability – however, general preconditions may be set. The courts pay particular attention to the causal link - whether the default was caused by Covid-19 and whether the party could have avoided/overcome it.

The paper raises one very interesting question: what happens if a party is able to prove that Covid-19 is force majeure, however, at the same time, contract indicates that none of the events relieves the party of a monetary obligation. There is no single answer to this question. Some of the authors think that the contract clause should be given priority, while the other ones think that the justification of such clause removes the content of the overarching intention of force majeure. There is no answer to this question in Georgian case law.

The research will allow lawyers to better formulate the terms and condition of the contract, while better substantiating their position during the trial. It also allows judges to learn about other countries' legal trends with respect to Covid-19.

Key words: Covid 19, Force majeure, Ejusdem Generis Rule